საქართველოს პარლამენტი

2025 წლის იანვრის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025

თებერვალი

2025 წლის იანვრის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

6.7%

დეკემბერი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის თორთმეტი თვის საშუალო მაჩვენებელი **9.5%**

2025 წლის იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **2.0%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **2.0%**-ით განისაზღვრა.



იანვარ - დეკემბერში* საქონლის ექსპორტი **7.8%**-ით, ხოლო იმპორტი **8.1%**-ით გაიზარდა.

დეკემბერში* ფულადმა გზავნილებმა **285.4** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **45.1%;**
აშშ - **19.4%;**
რუსეთი- **11.0%;**
სხვა ქვეყნები - **24.5%.**

დეკემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.

იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **1.1%**-ით გაუფასურდა, ხოლო ევროსთან მიმართებით კი **0.1%**-ით გამყარდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 6.7%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის დეკემბერში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.7%, 2024 წლის საშუალო მაჩვენებელმა კი 9.5% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: საფინანსო და სადაზღვევო დარგებმა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკურმა საქმიანობებმა, ტრანსპორტმა და დასაწყობებამ, ვაჭრობამ, ინფორმაციამ და კომუნიკაციამ.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის დეკემბერში* 16,480.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.1%-ით აღემატება.

<u>2025 წლის იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 2.0% შეადგინა.</u>

იანვარში, წინა წლის იანვართან მიმართებით, ინფლაციის დონე 2.0%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, განათლებაზე და სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე. იანვარში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.0%-ით განისაზღვრა.

2024 წლის დეკემბერში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 3.8% შეადგინა.









<u>2024 წლის დეკემბერში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

დეკემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 22.4%-ით, ხოლო ხარჯები 35.9%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო 49.9 მლნ ლარით, ხოლო ასევე უარყოფითი მთლიანი სალდო 1,093.3 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის დეკემბერში* საგადასახადო შემოსავლებმა 2,368.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 27.1%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზარდა მოგების გადასახადი (71.7%-ით), აქციზი (41.7%-ით), იმპორტის გადასახადი (24.5%-ით), საშემოსავლო გადასახადი (19.1%-ით), დღგ (18.2%-ით). ამავე პერიოდში შემცირდა ქონების გადასახადი (-20.4%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 49.6%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 50.4% შეადგინა. დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების შეძენის 3.4%-იანი (37.8 მლნ ლარით მეტი) ზრდა დაფიქსირდა.

<u>2024 წლის დეკემბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

დეკემბერში*, წინა წლის დეკემბერთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 18.4%-ით მოიმატა და 60.2 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 22.6%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 13.0%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 43.2% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (52.7%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.6% ფიზიკურ პირებზეა, 14.4% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 37.6% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 63.3% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 22.3% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.8% - მშენებლობის, 17.6% - მრეწველობის, 13.1% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 6.2% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.





2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



2024 წლის იანვარ-დეკემბერში*, წინა წლის ამავე პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

2024 წლის იანვარ-დეკემბერში, ექსპორტმა 7.8%-ით, ხოლო იმპორტმა 8.1%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 8.0%-ით გაიზარდა და 23,435.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.0%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (85%), აშშ-ში (45%), უზბეკეთში (27%), ყაზახეთში (22%), თურქეთში (12%), რუსეთში (4%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა ბულგარეთში (50%), სომხეთში (22%), აზერბაიჯანში (16%), ჩინეთში (3%) და სხვა.

იანვარ - დეკემბერში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი ლითონების მადნების (264%), ფეროშენადნობის (78%), სპირტიანი სასმელების (47%), უალკოჰოლო სასმელების (28%), მინერალური და მტკნარი წყლების (25%), თხილისა და კაკლის (19%), მსუბუქი ავტომობილების (14%), ღვინისა (7%) და სამკურნალო საშუალებების (2%) ჯგუფებში. შემცირდა აზოტოვანი სასუქების საზღვარგარეთ გატანა (25%-ით).



2024 წლის იანვარ - დეკემბერში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 73.6% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 18.3% - საზღვაო, 4.1% - საჰაერო, 3.2% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა 0.8% შეადგინა.



ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 47.1% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 36.2% - საზღვაო, 8.0% - საჰაერო, 6.2% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 2.6% შეადგინა.



იანვარ - დეკემბერში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 3,007.1 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5.0%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 22%), თურქეთი (13%), ჩინეთი (9%), სომხეთი (7%), აზერბაიჯანი (5%), აშშ (4%), ბულგარეთი (4%), შვეიცარია (4%), უკრაინა (3%), ყაზახეთი (3%).

ფულადი გზავნილები **(%)**
ჩარიცხვები, დეკემბერი



<u>2024 წლის დეკემბერში* ფულადი გზავნილები შემცირდა.</u>

დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 8.2%-ით შემცირდა და 285.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (128.8 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 45.1%) და აშშ (55.3 მლნ აშშ დოლარი, 19.4%) წარმოადგენდნენ. რუსეთიდან გზავნილები 55.8%-ით შემცირდა და 31.3 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 11.0%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (51.0 მლნ აშშ დოლარი, წილი 17.8%), აგრეთვე - საბერძნეთიდან (24.0 მლნ აშშ დოლარი), გერმანიიდან (23.5 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (23.3 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (9.1 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (7.4 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთი (6.8 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი - დეკემბერი



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



<u>2025 წლის იანვარში საერთაშორისო რეზერვებმა 4,430 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

იანვარში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,430 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2024 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 8.7%-ით, წინა თვესთან მიმართებით კი 0.4%-ით შემცირდა.

2025 წლის იანვარში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2024 წლის დეკემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

დეკემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 14.0%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 11.5%-ით, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 16.4%-ით გაიზარდა.

ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 10.4%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 14.5%-ს გაუტოლდა. 2025 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 2.0% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
(%-ლი ცვლილება)



2025 წლის იანვარში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 10,003.6 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 70.4% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 16.1% - ეროვნული ბანკის, ხოლო 13.5% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 12.7%, არარეზიდენტი - 0.8%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(იანვარი)



2024 წლის დეკემბერში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 60,274.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15.7%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 46.0% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა კი 54.0%.

დეკემბრის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 61.5% იურიდიულ პირებს, ხოლო 38.5% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 64.3% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 35.7% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(დეკემბერი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 49.9% ვადიანი დეპოზიტებია, 26.3% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 23.7% მიმდინარე ანგარიშები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (41.6%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (31.3%) და მიმდინარე ანგარიშებს (27.0%).



<u>2024 წლის დეკემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.</u>

დეკემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.62 პპ-ით შემცირდა და 49.3%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.53 პპ-ით მოიმატა და 43.2% შეადგინა.

დეკემბრის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 5.2%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2.6%-ით გაიზარდა.



2024 წლის დეკემბერში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 12,053.0 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 24.5%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.2%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.8%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 39,765.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15.6%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 50.2%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 49.8%.



დეკემბრის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 63.7% გაცემულია თბილისში, 7.9% - იმერეთში, 7.4% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.0% -კახეთში, 4.6% - ქვემო ქართლში, 4.1% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის დეკემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.6 პპ-ით გაიზარდა, ხოლო სესხებზე 0.2 პპ-ით შემცირდა.

დეკემბერში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.1% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.2%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) დეკემბრის* მდგომარეობით 5.9% შეადგინა, 0.53 პპ-ით მეტი წინა წლის დეკემბერთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2025 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.





2025 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურდა, ევროს მიმართ კი გამყარდა.

იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.1%-ით გაუფასურდა, ევროს მიმართ 0.1%-ით გამყარდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 0.4%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, იანვარში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 5.9%-ით და ევროს მიმართ 0.8%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 11.2%-ით გამყარდა.

იანვრის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.84, ევროსთან მიმართებით 2.94, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.08 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

<u>2024 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.</u>

2024 წლის III კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,056.7 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.9%-ით (201.3 ლარით) მეტია, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 2.6%-ით (51.8 ლარით) მეტი.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2024 წლის III კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (3,976.9 ლარის ოდენობით, 0.5% წლიური ზრდა), მშენებლობისა (3,198.2 ლარი, ზრდა 5.4%), აგრეთვე - საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დარგებში (3,186.6 ლარის ოდენობით, ზრდა 13.5%) და პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობების დარგებში (3,062.9 ლარი, ზრდა 17.1%).





<u>2024 წლის დეკემბრის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც.განათლებაზე, ასევე.ჯანდაცვაზე.გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.</u>

დეკემბერში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 381.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 18.3%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 219.2 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.0%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა

2025 წლის იანვარში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 42.1%, სომხეთში კი 1.7% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2024 წლის დეკემბრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 4.9%-ით, ხოლო რუსეთში 9.5%-ით გაიზარდა.





2025 წლის იანვრის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, სომხური დრამისა და აზერბაიჯანული მანათის გარდა, გაუფასურდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იანვარში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი 5.9%-ით, თურქული ლირა 15.4%-ით და რუსული რუბლი 13.1%-ით გაუფასურდა, ხოლო სომხური დრამი 1.7%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.01%-ით გამყარდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	იან 24	თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაი 24	ივნ 24	ივლ 24	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოე 24	დეკ 24	იან 25
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	5.8	9.5	8.2	11.8	9.2	7.5	13.0	12.0	8.3	11.0	7.5	6.7	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	1.4	11.8	8.5	19.1	10.7	10.7	19.8	14.2	11.6	14.7	10.1	10.1	
ინფლაცია (%)	1.4	0.3	0.5	1.5	2.0	2.2	1.8	1.0	0.6	0.3	1.3	1.9	2.0
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	9.0	9.00	8.25	8.25	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.47	0.47	0.47	0.46	0.45	0.47	0.47	0.46	0.46	0.47	0.49	0.50	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.45	0.44	0.45	0.45	0.46	0.45	0.44	0.44	0.44	0.43	0.43	0.43	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.68	2.66	2.68	2.68	2.72	2.83	2.73	2.70	2.71	2.73	2.74	2.81	2.84
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	265 093	266 386	280 934	278 515	284 309	281 091	298 118	290 567	283 385	281 060	266 696	285 395	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	339	465	523	437	501	581	684	642	616	682	543	549	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1 102	1 182	1 227	1 452	1 413	1 360	1 567	1 454	1 437	1 544	1 480	1 655	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-763.8	-716.8	-704.7	-1 014.8	-911.7	-779.0	-883.2	-812.7	-821.6	-862.4	-937.7	-1 106.1	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4 853	4 746	4 777	4 814	4 600	4 581	4 671	4 839	4 712	4 085	4 124	4 448	4 430
შემოსავლები (მლნ ლარი)	2 116	1 823	2 384	2 050	2 010	2 495	2 066	1 951	2 216	2 011	2 003	2 597	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1 716	1 676	1 558	1 904	1 697	1 587	2 193	1 531	1 599	1 661	1 721	2 647	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	402	420	430	424	459	567	570	555	594	567	456	1 147	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი